



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492302716

თარიღი:27/01/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 14

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაგრძელდა დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, წყლის სისტემების, საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების, ტერიტორიების კეთილმოწყობის და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის, საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადებისა და შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები.

როგორც მოგეხსენებათ პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთითა და დაფინანსებით, გასულ წელს ქ. წყალტუბოში, ტაბიძის ქუჩაზე დაიწყო საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის, გზის გასწვრივ არსებული ტროტუარების და სივრცეების კეთილმოწყობის მასშტაბური სამუშაოები, რომლებიც ამჟამად გრძელდება. სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით სარეაბილიტაციო სამუშაოების ნუსხაში დამატებით შეტანილი იქნა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთების სამუშაოები, რომელთაგან 2 მისამართზე-ტაბიძის ქ. № 15 და N 17 საცხოვრებელ სახლებში სამუშაოები დასრულებულია, ხოლო გოგებაშვილის ქ. N 1 -ში დასრულდება მ/ წლის გაზაფხულზე.

2022 წელს რგ(პ)ფ-მა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დააფინანსა 12 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, ჯამური სახელმეკრულებო ღირებულებით - 7 544 804 ლარი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში **საანგარიშო პერიოდში** დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ სოფელ ოფშკვიტში- გუბას, კეპულაძეების, ჩხოზაძეების და ძოძუაშვილების უბნებში, სოფელ გუმბრაში - იობიძეების უბანში, სოფელ გვიშტიბში - მაცაბერიძეების უბანში და მე-10 ქუჩაზე, აგრეთვე, ქალაქ წყალტუბოში- გამსახურდიას და ქუთაისის ქუჩის გაგრძელებაზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულებით 2665888 ლ). 2022-2023 წლების დაფინანსების ფარგლებში რგ(პ)ფონდიდან გამოყოფილი თანხით- სოფელ ქვიტირში №20 ქუჩაზე და სოფელ მუხიანში- ბროწეულას დასახლებაში დასრულდა გზების

ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, აგრეთვე -სოფლების ქვიტირი-ზედა მესხეთის დამაკავშირებელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულ.1044920 ლარი).

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან **399 999** ლარით დაფინანსდა და დასრულდა სოფ. ლეხიდრისთავი- ლეყერეთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში სამსახურის მიერ მოპოვებული გრანტით დაფინანსდა და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით - თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, შპს ჰერბია-სთან მისასვლელი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაფინანსდა - 1 329 754 ლარით), და ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, სოფ.ყუმისთავში „გაბზარულ ტბა“- სთან მისასვლელი გზისა და „საწურბლია“-ს და „პრომეთე“-ს მღვიმეებთან დამაკავშირებელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები- (დაფინანსდა -1 047 047 ლარით,).

საანგარიშო პერიოდში (ივლისი- დეკემბერი) კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის **39** ინფრასტრუქტურული ხელშეკრულება, რომელთაგან 8 პროექტი დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ, 2- რგ(პ) ფონდის მიერ, 17 პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტით, 12 პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში (ვარციხჰესისი დასახლება) და სოფელ ზედა მესხეთში (ბროწეულას დასახლება) არსებული საჯარო სკოლების სახურავების მოწყობის სამუშაოები (94495 ლ), ცხუნკურის, სოფ. წყალტუბოს, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის და რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2022 წლის 22-23 ივნისს და 2 ივლისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) შედეგად დაზიანებული გზების აღდგენითი სამუშაოები (380999 ლ), ქალაქ წყალტუბოში, №3 საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები (174827 ლ). ქ. წყალტუბოს მე -3 საჯარო სკოლის სახურავის (ღირებულ.24947 ლ), სოფლებში: გვიშტიბში (მე-10 ქუჩა) და სოფელ ყუმისთავში, ასევე ქალაქ წყალტუბოში გამსახურდიას ქუჩის გაგრძელებაზე, ტყაბლადის და ნუცუბიძის ქუჩებზე გარე განათების ქსელის მოწყობის (ღირებ.22995 ლ), ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მოედნის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულ.250027 ლ), დღნორისის, მექვენის, ოფურჩხეთის, რიონის, მალაკის, საყულიისა და ოფშკვითის ადმინისტრაციულ

ერთეულებში, ასევე ქალაქ წყალტუბოში 2022 წლის 10 ოქტომბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა) შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი და შეკეთების (ღირებ.369558 ლ) სამუშაოები. სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) დაიწყო დაწყებითი საჯარო სკოლის მიშენების სამუშაოები (ღირებ.64495 ლ).

2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 6 943 828 ლარით იქნა განსაზღვრული.

საანგარიში პერიოდში დასრულდა ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის N9-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში საძირკვლის გრძივი და განივი დასუსტებული საყრდენი კედლების გამაგრების (ღირებ. 86431 ლ), ქალაქ წყალტუბოში, ევდომვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების და ფერდის შემაკავებელი კედლის მოწყობის, ასევე ლერმონტოვისა და კეცხოველის ქუჩებზე, გოგებაშვილის ქუჩაზე წყალშემკრები არხების მოწყობის (ღირებულებით 449180 ლ), სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) მე-12 და მე-13 ბინების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები (ღირებ.106751 ლარი), ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილისა და რუსთაველის ქუჩების დამაკავშირებელი გზის, აგრეთვე, ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებ.273555 ლარი), სოფელ ყუმისთავში გაბზარულ ტბასთან მისასვლელი გზის მიმდებარედ და სოფელ გვიშტიბში ბობოხიძეების უბანში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები (47300 ლ), სოფელ ხომულში და სოფელ მაღლაკში დაზიანებული მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციისთვის შეძენილი იქნა საჭირო მასალები, ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკში ჩოგბურთის კორტებზე განხორციელდა გასახდელების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები (17013 ლ), სოფელ გუმბრაში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის დაუყოვნებლივ აღდგენისათვის შეძენილი იქნა ახალი ტუმბო-აგრეგატის კომპლექტი (3500 ლ), სოფელ ხომულში განხორციელდა დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (13950ლ), სოფელ რიონში არსებული სასმელი წყლის ქსელზე რეზერვუარის მოწყობისა და ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ღირებ. 39997 ლ), სოფელ ეკიტირში სპორტული დარბაზის შემოღობვის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები (ღირებ. 19600 ლ).

მიმდინარეობს ქალაქ წყალტუბოში, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული საპირფარეშოების რეაბილიტაციის (54000 ლ), სოფელ წყალტუბოში, იმერეთის ქუჩაზე წყალსადენი ქსელის მოწყობის (ღირებ. 13803ლ) სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა და დღესაც მიმდინარეობს შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები, რისთვისაც საჭირო დაფინანსება გამოყოფილია როგორც ადგილობრივი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საცხოვრებელი სახლების სახურავების , ფასადების, სადარბაზოების, ლიფტების, ეზოების კეთილმოწყობისა და შიდა საკომუნიკაციო ქსელების სამუშაოების თანადაფინანსებით განხორციელებისათვის 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 420 000 ლარი იყო გამოყოფილი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში მ/ წელს სულ დაფინანსდა 22 საცხოვრებელ კორპუსში სახურავების, სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოები რომელთაგან 15 მისამართზე სამუშაოები წლის პირველ ნახევარში დასრულდა.

საანგარიშო პერიოდში 4 მისამართზე: სოფ. მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში, დედაენის ქ. № 22 და კოსტავას ქ. № 2, აგრეთვე სოფ. გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) N 12 საცხოვრებელ სახლებში თანადაფინანსებით შეკეთდა სახურავები. 3 მისამართზე - კოლხეთის ქ. N25 ში, კოსტავას ქ. N 2 და სოფ. ოფურჩხეთში ყოფილი ჩაის ფაბრიკის საცხოვრებელ კორპუსებში მიმდინარეობს სახურავების შეკეთებითი სამუშაოები.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარების საგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსებით შპს „მარმენიოს“ 2022 წლის 14 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად (სახელშეკრ. ღირებულება 350571 ლარი) გაწეული მომსახურებისათვის წლის პირველ ნახევარში ჩაერიცხა -188848 ლარი, საანგარიშო პერიოდში : სექტემბერში- 24462 ლარი, ოქტომბერში-40950 ლარი, ნოემბერში-42997 ლარი, დეკემბერში- 43312 ლარი.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა სოფელ გეგუთში (ვარციხჭესის დასახლება), სოფელ ზედა მესხეთში (ბროწეულას საჯარო სკოლა) და ქ. წყალტუბოს მე-3 საჯარო სკოლაში სახურავების შეკეთება- რეაბილიტაციის სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 119442 ლარი.

2022 წლის დასაწყისში „ სოფლის მხარდაჭერის “ 2022 წლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 704 000 ლარი. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში შერჩეული იქნა სხვადასხვა მიმართულების 59 პროექტი. ამ პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვედა ონჭეიში, მექვენა, დერჩი, სოფელი წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში, ოფურჩხეთი, გუმათი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო, გუმბრა, ბანოჯა, ხომული, ცხუნკური, ყუმისთავი, ზედა ჩუნეში, რიონი, ზარათი, მეჩხერი, ნოლა, სორმონი, ჭოლევი,ტყაჩირი, პატრიკეთი, გუბისწყალი, ჭაშლეთი, ლეხინდრისთავი, საჩხეური, დღნორისა, ზედა ონჭეიში, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შესყიდული იქნა მზა ბეტონი

(ღირებულებით 391389 ლარი), სოფელ ბენტოქოულაში წყლის სათავე ნაგებობისთვის საჭირო მასალები (ღირებულ 10000 ლ), სოფელ მექვენაში, ვანისჭალაში, ნოლაში და სორმონში სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო მასალები (16600 ლ), სოფელ საყულიაში სასაფლავის შესაღობად შეძენილი იქნა ჭედური დეკორატიული ჭიშკრი (ღირებულ 10000 ლ). **სანგარიშო პერიოდში დასრულდა** სოფელ მუხიანში და სოფელ უკანეთში გარე განათების ქსელის მოწყობის (ღირებ.32000 ლ), სოფელ ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული შენობის, აბულატორიის და საბავშვო ბაღის საერთო ეზოს კეთილმოწყობის, ასევე სოფელ ოფშკვითში გარე განათების ქსელის მოწყობის (39960 ლ), სოფელ მაღლაკის ცენტრში („დუქნები“-ს უბანში) არსებული მინი სპორტული მოედნისა და სოფელ გუბისწყლის სოფლის კლუბის რეაბილიტაციის (ღირებ. 33000 ლ), სოფელ გვიშტიბში და სოფელ პირველ წყალტუბოში სანიაღვრე არხების მოწყობის (ღირებულ 32000 ლ), სოფ. მიწაწითელში სტადიონის შემოღობვისა და სოფელ წყალტუბოში სოფლის კლუბის რეაბილიტაციის (ღირებ 17000), სოფელ ქვიტირში სპორტული დარბაზისა და სოფელ ქვედა მესხეთში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის (ღირებ 30000 ლ), თერნალში ძველი სასაფლავი, აგრეთვე სოფელ გუმბრისა და სოფელ ცხუნკურის სასაფლაოების შემოღობვის (ღირებ 27000 ლ), სოფელ გეგუთის შესასვლელში მანიშნებელი აბრისა და არსებული ჯვრის განათების მოწყობის (17000 ლ), სოფელ ქვედა მესხეთში და ზედა მესხეთში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის, ასევე სოფელ საყულიაში სკვერის კეთილმოწყობის (ღირებ.30000 ლ), სოფელ ზედა მესხეთში საბავშვო ატრაქციონის მოწყობის სამუშაოები (ღირებ.10000 ლ).

სამსახურის მიერ მომზადებული საპროექტო წინადადებების გათვალისწინებით შესყიდული იქნა პროექტები, რომლებიც შესაბამისი დაფინანსების გამოყოფისათვის შეტანილი იქნა 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით და რგ(პ) ფონდის დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში.

2022 წლის 6 თვეში სამსახურში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების 35% , რომლებიც სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას შეეხებოდა დადებითად გადაწყდა და განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. განცხადებების 25 % აისახა - 2023 წლების სამოქმედო გეგმაში. განცხადებების 25% კონტროლზეა აყვანილი და შესრულდება შესაძლებლობის ფარგლებში, 15% ვერ განხორციელდება ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არ არსებობის გამო, რაზედაც ეცნობათ განმცხადებლებს.